სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/94

ქ. თბილისი

19 აპრილი 2019

საგანმანათლებლო პროგრამის ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 უხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმები შესაბამისი დანართებით (დანართები - №1, №2, №3);
2. დამტკიცდეს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმები შესაბამისი დანართებით (დანართები - №4, №5, №6);

3. დამტკიცდეს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმები შესაბამისი დანართებით (დანართები - №7, №8, №9);

4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით განსაზღვრული ვადების მიხედვით ეტაპობრივად განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება/მოდიფიცირება ამ დადგენილების 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით მიღებული ფორმების შესაბამისად;

5. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018წლის 14 თებერვლის№ 01-05-04/01 დადგენილების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები და 2018 წლის 9 მარტის № 01-05-04/56 დადგენილება არაუგვიანეს 2020 წლის 01 მარტისა;

6. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე